ინფორმაცია კომპიუტერული პროგრამების ცოდნის შემოწმების თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში არსებული ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია და დახურული კონკურსების II ეტაპზე გათვალისწინებული კომპიუტერული პროგრამების ცოდნის შემოწმება ჩატარდება 2018 წლის 07 მაისს, 14:00 საათზე, სსიპ "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის" ტექნოლოგიური ფაკულტეტის კორპუსში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. N12).

კომპიუტერული პროგრამების ცოდნის შემოწმების ეტაპზე კანდიდატი ვალდებულია კომისიის მიერ განსაზღვრული დავალება შეასრულოს დადგენილ დროში (თითოეული პროგრამის შემოწმებისათვის არაუმეტეს 30 წუთი).

კომპიუტერული პროგრამების შემოწმება განხორციელდება საკონკურსო განცხადებაში მითითებული პროგრამების შესაბამისად, კერძოდ:

- უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) – Microsoft office word - კარგად ცოდნა;
- უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის იურიდიული განყოფილების მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - Microsoft office word, Microsoft office PowerPoint - კარგად ცოდნა;
- უმაღლესი საბჭოს აპარატის ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) - Microsoft office word, Microsoft office Excel - ძალიან კარგად ცოდნა;
- უმაღლესი საბჭოს აპარატის ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის საფინანსო განყოფილების მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - Microsoft office word, Microsoft office Excel - ძალიან კარგად ცოდნა;
- მთავარი ბუღალტერი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) - Microsoft office word, Microsoft office Excel - ძალიან კარგად ცოდნა.